კრების ოქმი

ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობა“

(მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71)

ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობის“ კრება შედგა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71-ში, 2019 წლის 04 ივნისს;

ამხანაგობის კრებას ესწრებოდა: ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის 100%.
ამხანაგობის კრებას თავმჯდომარეობდა: გიორგი ხარებაშვილი (პ/ნ: 01029011433).
ამხანაგობის კრებაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

ა) ამხანაგობის კრებამ იმსჯელა ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ.#71-ში მდებარე შპს „წმინდა გიორგის სახელობის საბავშვო ბაღი“-ს (ს/ნ:404873339) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით: 01.14.03.001.015.03.502; ფართი N35/1, ბლოკი “C”, (-1.20 ნიშნული)) შპს „წმინდა გიორგის სახელობის საბავშვო ბაღი“-ს (ს/ნ:404873339) მიერ კარის გაჭრისა და ადმინისტრაციული ორგანოებისგან ნებართვის მოპოვების საკითხზე;

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა: დამსწრეთა (ამხანაგობის წევრთა) 100%-ის მიერ, ერთხმად.

ამხანაგობის კრებამ გადაწყვიტა:

ა) თანხმობა მიეცეს შპს „წმინდა გიორგის სახელობის საბავშვო ბაღი“-ს (ს/ნ:404873339), რათა უზრუნველყოს ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით: 01.14.03.001.015.03.502; ფართი N35/1, ბლოკი “C”, (-1.20 ნიშნული)) კარის გაჭრა თანდართული ფოტომონტაჟის შესაბამისად და ამ მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისგან ნებართვის მოპოვება.

წინამდებარე კრების ოქმს თან ერთვის კარის ფოტომონტაჟი.

წინამდებარე კრების ოქმს ამხანაგობის სახელით ხელს აწერს
ბმა „არასაცხოვრებელი კომპლექსის მესაკუთრეთა ამხანაგობის“
კრების თავმჯდომარე

გიორგი ხარებაშვილი



ფოტომონტაჟი
/ეზოს მხრიდან/
ალუმინის კარი
/თეთრი ფერის/
460
2.400
2.860
1.000
+1.09

ஸ்ரீபெரும்புதூர் பாராளுமன்ற தொகுதி
திமுக அலுவலகம்
06.05.2019

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190696299
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.06.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ზაალ ზაქარაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	595 07 52 44
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	16736516634319

ორი ათას ცხრამეტი წლის ჩვიდმეტ ივნისს მე, ნოტარიუსი საქართველოში ზაალი ზაქარაშვილი, რომლის სანოტარო ბიუროში მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47-ში, მიწვეულ ვიქენი მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი N71-ში, სადაც დამხვდა გიორგი ხარებაშვილი, რომელმაც წარმოადგინა კრების ოქმი და მოითხოვა აღნიშნულ კრების ოქმზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი ხარებაშვილმა(დაბადებული: 01.08.1981 წელს, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, პ/ნ 01029011433, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა, N 5ა-ში) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ მე განვუმარტე მხარეს, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორეს, ნოტარიუსი ადასტურებს, რომ აღნიშნული ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის წარმოდგენილ პიროვნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი კრების ოქმს.

გადახდილია საზღაური 26.0 ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა, ოცი ლარი თანახმად 34-ე მუხლისა და ორი ლარი დღგ–ს ჩათვლით თანახმად 39 მუხლისა. სულ გადახდილია საზღაური 28.0 ლარი.

ნოტარიუსი ზაალი ზაქარაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

